



ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო კულტურის
ამაღლების ხელშეწყობა

"ახალგაზრდა ამომრჩევლის ცნობიერების ამაღლება მაღალმთიან რეგიონებში"

საქართველოს რეგიონების განვითარების ხელშეწყობის კავშირი

პროექტის განხორციელების პერიოდი: 15.04.2019-15.06.2019წ

პროექტის მიზანი:

ახალგაზრდა ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობა 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

✓ პროექტის განხორციელების არეალი:


✓ რაჭა

✓ ლეჩხუმი

✓ ქვემო სვანეთი

სამიზნე ჯგუფი:

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ახალგაზრდა ამომრჩევლები. პროექტში მონაწილეობა მიიღო 61-მა ახალგაზრდამ, მათ შორის კაცი -29, ქალი - 32;
იხ. დიაგრამა:



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა:

- სასწავლო-საინფორმაციო პროგრამის განხორციელების მეშვეობით ახალგაზრდებმა მიიღეს თეორიულ ცოდნა საარჩევნო-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში:

1. არჩევნების ასი წელი;
2. ხელისუფლების დანაწილების პრინციპები;
3. არჩევნებში ჩართული მხარეები;
4. საარჩევნო სისტემები.

და გაეცნენ 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების თავისებურებებს.

- მოეწყო საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები საარჩევნო ადმინისტრაციასთან, მონაწილეები შეხვდნენ ცაგერის სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ბაია კოპალიანს, რომელმაც სასწავლო პროგრამისას განხილული თეორიული საკითხები პრაქტიკაში განახორციელა.

ტრენინგი ლენტეხის ახალგაზრდებთან

23/05/2019 - 24/05/2019



ტრენინგი ამბროლაურის ახალგაზრდებთან 25/05/2019 - 26/05/2019



ტრენინგი ცაგერის ახალგაზრდებთან
01/06/2019 - 02/06/2019



*შეხვედრა ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიაში
25.06.2019წ*



პროექტის ეფექტი:

- პროექტის შედეგები როგორც განსაზღვრული იყო პროექტით დაიყო 2 ნაწილად:
- 1. პროექტის უშუალო შედეგები:
 - - 3 საარჩევნო ოლქის ოც-ოცმა (დაგეგმილი 60, რეალურად გაიარა 61 ახალგაზრდამ) ახალგაზრდამ მიიღო ინფორმაცია 4 სატრენინგო მოდულის შესახებ;
 - - სწავლების ცენტრმა ბენეფიციარებთან ჩაატარა შეხვედრა ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიაში;
 - - იმავე რაოდენობის მონაწილეებმა გაიარეს სატრენინგო კურსი მათთვის მისაღებ გარემოში და დაუხლოვდნენ თანატოლებს;
 - - მონაწილეებს გადაეცათ როგორც სამუშაო რვეულები, აგრეთვე სახელმძღვანელოები ვიზუალური ინფორმირებისთვის;
 - - მონაწილეები შეხვდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბაია კოპალიანს.

2. შესაძლო სამომავლო შედეგები :

- - მივიღებთ გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის;
- - მონაწილეები ინფორმაციის გადაცემას მოახერხებენ „თანასწორი თანასწორის პრინციპით“ და მიაწვდიან სხვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს;
- - გაიზრდება სანდოობა საარჩევნო პროცესის მიმართ, რაც საბოლოოდ გაზრდის პროცესის მიმართ სწორ დამოკიდებულებას, როგორც უშუალო დემოკრატიის ფორმაზე;
- - მონაწილეები გააქტიურდებიან პოლიტიკურ ასპარეზზე.

მადლობა ყურადღებისთვის